

მაია მაჭავარიანი

LCC International University

„ერაზმუს + ის აკადემიური მობილობის პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის აპრილში ვეწვიე LCC საერთაშორისო უნივერსიტეტს, ლიეტუვაში.

მობილობის ფარგლებში საშუალება მქონდა მონაწილეობა მიმეღო სხვადასხვა აქტივობებში მათ შორის, მასპინძელი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს ფსიქოლოგიური შეფასების კურსის ფარგლებში წავუკითხე ლექციები თემაზე „ ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მეთოდები“. ასევე მონაწილეობა მივიღე პრაქტიკულ აქტივობაში მოწვეული პრაქტიკოსი ნეიროფსიქოლოგის როლში, რომლის ფარგლებში გავუზიარე სტუდენტებსა და კოლეგებს ჩემი პრაქტიკული გამოცდილება კლინიკურ სფეროში. დავესწარი დამამთავრებელი კურსის სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცესს. ასევე საერთაშორისო სტუდენტებთან შეხვედრის ფარგლებში, მქონდა საჯარო პრეზენტაცია კავკასიის უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტში მიმდინარე ფსიქოლოგიის პროგრამების შესახებ.

ასევე ვიზიტის კულტურული და სოციალური ღონისძიებების ნაწილში შევხვდი ქართველ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობდნენ LCC-ის უნივერსიტეტში და მონაწილეობა მივიღე კლასიკურად ისტორიული ადგილების მონახულების ტურში, რომელსაც უძღვებოდა რადვიდა ვაიშვილაიტი, ლიეტუვის კვლევების დეპარტამენტის თავმჯდომარე."